ანალოგიები

1. საჭე : ძრავა

ა) თვალი : ყური
ბ) ტვინი : გული
გ) ფინჯანი : ლამბაქი
დ) საძირკველი : სახურავი

2. სინქრონული : შეუთანხმებელი

ა) რევოლუცია : რადიკალური
ბ) პოლიტიკა : სამართლიანი
გ) უმი : მოხარშული
დ) კერძი : გემრიელი

3. გამოცემა : პერიოდული

ა) ფუნქცია : ზრდადი
ბ) კანონი : სავალდებულო
გ) ყინული : ცივი
დ) ლიდერი : პირველი

4. ქარი : ამქარი

ა) ბია : კომში
ბ) მოხსნა : ამოხსნა
გ) ბალახი : კორდი
დ) გვრიტი: გვირისტი

5. მოცულობა : ფართობი

ა) კონუსი : სამკუთხედი
ბ) წრე : წრეწირი
გ) კვადრატი : კუბი
დ) წრფე : მართკუთხედი

6. ლაქლაქებს : ყბედი

ა) ჯიუტობს : ლაჩარი
ბ) ეჩოთირება : ეჭვიანი
გ) ოხრავს : წუწუნა
დ) სწამს : მორწმუნე

წინადადებების შევსება

7. დღევანდელი რეალობის ანალიზისას ისტორიული _____ საფუძვლიანი ანალიზის _____ სწორი დასკვნების გამოტანაში, მაშინ როდესაც წარსულის მოვლენებსა და თანამედროვე პროცესებს შორის თვისებრივი _____ აღმოჩენის შემთხვევაში ის _____ გაგვიწევს.

ა) წარსულის გათვალისწინება თუნდაც / ჩატარების შემთხვევაში ხელს გვიშლის / მსგავსების/ კარგ სამსახურს
ბ) მომავლის გათვალისწინება თუნდაც / გაკეთების შემთხვევაში ხელს გვიწყობს / განსხვავების / არავითარ დახმარებას არ
გ) წარსულის გათვალისწინება / გარეშე ხელს გვიშლის / მსგავსების / დიდ სამსახურს
დ) რეალობის გაუთვალისწინებლობა / ჩატარების შემთხვევაშიც არ გვეხმარება / განსხვავების / არავითარ დახმარებას არ

8. „ილიადას“ თანახმად იმდროინდელი საბერძნეთი დიდი კულტურის ქვეყანა იყო. მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც ბერძნები _____ მოექცნენ, ისინი _____ სხვა ხალხებისაგან. ამიტომ ბევრად უფრო ადვილი იყო ჰომეროსის პოემებში არსებული ცნობები თვით _____ მიეჩნიათ, ვიდრე დათანხმებულიყვნენ, რომ ასეთი მაღალი ცივილიზაციის ხანას ჯერ _____ შემდეგ კი ელინური კულტურის _____ მოჰყვა.

ა) თანამედროვე ისტორიის თვალთახედვის არეში / ძლიერ გამოირჩეოდნენ / პოეტის გამონაგონად / დაცემა / აღმავლობა

ბ) უცხო კულტურის გავლენის ქვეშ / თავს იცავდნენ / ბერძნების გამონაგონად / აღმავლობა / აღზევება

გ) ყურადღების არეში / ყველაფრით გამოირჩეოდნენ / რეალობად არ / დაცემა / აღზევება

დ) თანამედროვე ისტორიის თვალთახედვის არეში / არაფრით არ გამოირჩეოდნენ / პოეტის შეთხზულად / დაცემისა და ბარბაროსების ეპოქა, / ხელახალი აღმავლობა

9. ძველ ეგვიპტელებს _____ წელთაღრიცხვა. ამიტომ _____ მათ ასევე ისტორიზმის გრძნობაც, რადგან იქ სადაც _____ წელთაღრიცხვა, _____ დაწერილი ისტორია.

ა) ჰქონდათ მტკიცედ დადგენილი / არ ჰქონდათ / არ არის / არის
ბ) არ ჰქონდათ მტკიცედ დადგენილი / არ ჰქონდათ / არ არის / არ არის არც
გ) არ ჰქონდათ მტკიცედ დადგენილი / ჰქონდათ / არ არის / არის
დ) ჰქონდათ დაუდგენელი / ჰქონდათ / არის / არის

ლოგიკა

10. ტელეკომპანიის დაკვეთით ჩატარდა კვლევა იმის გამოსარკვევად, რომელი გადაცემის რეკლამა ახსოვთ მაყურებლებს ყველაზე უკეთ. გამოიკვეთა ერთ-ერთი გადაცემის ორი რეკლამა, რომელიც სხვადასხვა დროს გადიოდა ტელეეთერში. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ეს გადაცემა პოპულარულია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს?

ა) ორივე რეკლამაში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომელთა სახელები და გარეგნობა ნაკლებად ცნობილია მაყურებლებისათვის

ბ) ორივე რეკლამას ტელევიზიით დაახლოებით იმავე სიხშირით უჩვენებდნენ, როგორც სხვა გადაცემების რეკლამებს.

გ) სხვა რეკლამებისაგან განსხვავებით, ორივე რეკლამაში პოპულარული მსახიობები მონაწილეობდნენ

დ) სხვა რეკლამებისაგან განსხვავებით, ორივე ეს რეკლამა პოლიტიკურ თოქ-შოუს უწევდა პოპულარიზაციას, რომელსაც ყოველთვის ბევრი მაყურებელი ჰყავს.

11. მოცემულია წანამძღვრები:

- ყველა კენგურუ ავსტრალიაში ბინადრობს
- ზოგიერთ კენგურუს მუქი ბეწვი აქვს
- კენგურუ არ არის მტაცებელი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს მოცემული წანამძღვრებიდან:

I. ყველა კენგურუ, რომელსაც მუქი ბეწვი აქვს ბინადრობს ავსტრალიაში

II. ავსტრალიაში ბინადარ ზოგიერთ არამტაცებელ ცხოველს მუქი ბეწვი აქვს

(ა) მხოლოდ პირველი
(ბ) მხოლოდ მეორე
(გ) ორივე
(დ) არც ერთი

12. იკებანას სპეციალისტმა კომპოზიციისათვის უნდა აირჩიოს ყვავილებიდან - ჰორტენზია, აზალია - ერთი მაინც და გასაწყობად - წიწვი ან ბზა - ერთი მაინც. ამასთან:

- თუ აირჩევს ჰორტეზიას, მაშინ ასევე უნდა აირჩიოს წიწვიც და ბზაც
- თუ აირჩევს აზალიას, მაშინ *<u>არ უნდა</u>* აირჩიოს წიწვი.

არჩეულ მცენარეებს შორის

(ა) აუცილებლად უნდა იყოს აზალია
(ბ) აუცილებლად უნდა იყოს ჰორტენზია და წიწვი
(გ) აუცილებლად უნდა იყოს ბზა
(დ) არ უნდა იყოს წიწვი

13. სამი მეგობარი დათო, გია და სანდრო ერთად ემზადებოდნენ საკონტროლო წერისათვის. ერთი ცდილობდა ამოცანები ამოეხსნა, მეორე მას ეხმარებოდა, ხოლო მესამე ამ დროს ტელეფონით მესიჯებს აგზავნიდა. ამასთან:

- თუ დათო ამოცანებს ხსნიდა, მაშინ გია მესიჯებს აგზავნიდა
- თუ გია მესიჯებს აგზავნიდა, სანდრო არ ეხმარებოდა ამოცანების ამოხსნაში
- თუ სანდრო მესიჯებს არ აგზავნიდა მაშინ ამოცანებს ხსნიდა გია

ვინ ხსნიდა ამოცანებს?

ა) დათო
ბ) გია
გ) სანდრო
დ) მოცემული ინფორმაცია არაა საკმარისი ამის დასადგენად

წაკითხული ტექსტის გააზრება

დამწერლობა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია; სწორედ მისი წყალობით მოაღწიეს ჩვენამდე ძველმა, დღეს უკვე არარსებულმა ენებმა. დამწერლობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა. უძველეს დროში ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტს ზეპირი მეტყველების მეშვეობით ამყარებდნენ. იმ დროიდან, როდესაც ადამიანს გაუჩნდა აზრების დაფიქსირების მოთხოვნილება, დამწერლობის შექმნამდე, საკმაოდ ხანგრძლივმა პერიოდმა განვლო.

პირველყოფილი ადამიანები აზრების გადმოსაცემად საგნების სიმბოლიკას მიმართავდნენ. ზოგიერთ ხალხში ქვა აღნიშნავდა მაგარს, მტკიცეს; ნახშირი – მწუხარებას, უბედურებას; ომის გამოცხადებისას დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს უგზავნიდნენ ისრებს, შუბს ან სხვა იარაღს; მტრობისა და სიძულვილის ნიშნად – წიწაკას; სიყვარულისა და მეგობრობის გამოსახატად – მარილს და ა. შ.

თანდათანობით ჩნდება პიქტოგრამული დამწერლობა – აზრის გადმოცემა ნახატ-სიმბოლოებით. ეს უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია დამწერლობის განვითარების გზაზე. პიქტოგრამული ნიშნები აღმოჩენილია ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზეც, მაგალითად, ცხოველების – ირმების, ჩიტების, ცხენების და სხვ. გამოსახულებები თრიალეთში. ხატოვანი დამწერლობის ნიმუშები ცნობილია კავკასიის სხვა კუთხეებშიც, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე. კავკასიაში პიქტოგრამული დამწერლობის არსებობა დაახლოებით 3-4 ათასი წლის წინ შეიძლება ვივარაუდოთ. ჯერჯერობით ძნელია რაიმე ითქვას ამ ნიშნებით გადმოცემული ფონეტიკური ფორმების შესახებ, ასევე შეუძლებელია მათი მიკუთვნება რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანია აღმოჩენილი ნიშნების სიმრავლე, ფართოდ გავრცელება და ხანგრძლივი გამოყენება.

დამწერლობის შემქმნელებად ძველ ეგვიპტელებს და შუმერებს (მესოპოტამია) მიიჩნევენ. ეგვიპტეში დამწერლობა 4 ათასი წლის წინ შეიქმნა. ეს იყო იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც შემორჩენილია პირამიდების კედლებსა და პაპირუსებზე. იეროგლიფები წარმოადგენდნენ საგნების, მცენარეების, ცხოველების მინიატურულ გამოსახულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღნიშნავდნენ მთელ სიტყვებს, შემდეგ კი – ცალკეულ მარცვლებს. ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა გაშიფრა ფრანგმა მეცნიერმა, შამპოლიონმა XIX საუკუნის 20-იან წლებში. ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტური ლაშქრობების დროს ქვეყნიდან გაიტანეს უამრავი სიძველე, მათ შორის – ე. წ. როზეტის ქვა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერების განვითარების საქმეში. „როზეტის ქვა“ – ძვ. წ. II საუკუნის ეგვიპტურ-ბერძნული ბილინგვა (ორენოვანი ტექსტი) უძველესი თარგმანის ნიმუშია. სწორედ ამ ქვაზე შესრულებული იეროგლიფური წარწერის გაშიფვრა შეძლო შამპოლიონმა. ასე აღადგინეს არა მარტო ეგვიპტური დამწერლობა, არამედ ძველი ეგვიპტური ენაც, რომელიც მანამდე უცნობი იყო.

დამწერლობის წარმოშობის მეორე კერა იყო მესოპოტამია, რომლის უძველესმა მკვიდრებმა, შუმერებმა შექმნეს ჯერ იეროგლიფური, შემდეგ კი ლურსმული დამწერლობა. ეგვიპტელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქვასა და

პაპირუსზე წერდნენ, შუმერები თიხის ფირფიტებზე წერდნენ ხის ჩხირებით. ჩხირი დაწოლის შედეგად ღრმა კვალს ტოვებდა ფირფიტაზე, რომელსაც შემდეგ თერმულად ამუშავებდნენ სიმტკიცის მისანიჭებლად.

ფონემური დამწერლობის შემქმნელად ფინიკიელები ითვლებიან. ფინიკიური დამწერლობა 22 ასო-ნიშანს ემყარება. მისი გავლენით შეიქმნა დღეს არსებული ანბანების უმრავლესობა, მათ შორის – ევროპული ანბანებიც, რომლებიც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს დგას.

ფინიკიური დამწერლობა ორი მიმართულებით გავრცელდა: დასავლეთით და აღმოსავლეთით. დასავლეთით ის პირველებმა ბერძნებმა აითვისეს, მათგან – რომაელებმა; ბერძნებისა და რომაელების მეშვეობით კი ანბანის ეს ტიპი ევროპულ ქვეყნებში გავრცელდა. მკვლევართა ნაწილის აზრით, ამ გზის მემკვიდრეა ქართული დამწერლობაც. აღმოსავლეთით ფინიკიური დამწერლობა, პირველ რიგში, სემიტური მოდგმის ხალხებში (ებრაელები, არამეელები) გავრცელდა. მკვლევართა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ანბანი ამ აღმოსავლური გზის მემკვიდრე უნდა იყოს.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად მოცემულ ტექსტს სათაურად?

(ა) დამწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში

(ბ) ფინიკიური დამწერლობა – თანამედროვე ანბანთა საფუძველი

(გ) პიქტოგრამულ-იეროგლიფური დამწერლობის პირველი ნიმუშები

(დ) საგნების სიმბოლიკიდან ფონემურ დამწერლობამდე

15. რომელ აბზაცში წარმოდგენილი აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი:

ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი, ჰეროდოტოსი მოგვითხრობს: როცა სპარსელებმა სკვითებს დამორჩილება მოსთხოვეს, სკვითებმა მათ ჩიტი, ბაყაყი, თაგვი და ხუთი ისარი გაუგზავნეს. ეს იყო თავისებური ნოტა, რომელიც ნიშნავდა: თუ თქვენ არ შეგიძლიათ ჩიტივით ფრენა, თაგვივით მიწაში ან ბაყაყივით წყალში დამალვა, მაშინ წარმატების იმედი არ უნდა გქონდეთ, ჩვენი ისრების მსხვერპლი გახდებით.

(ა) მხოლოდ II-ში

(ბ) მხოლოდ III-ში

(გ) მხოლოდ I-სა და II-ში

(დ) მხოლოდ II-სა და III-ში

16. უძველესი იეროგლიფური დამწერლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან -

I. იეროგლიფების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თავდაპირველად ის მთელ სიტყვას აღნიშნავდა, შემდგომ კი – მარცვალს.

II. იეროგლიფების შესრულების ტექნიკა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში განსხვავებული იყო.

III. ამიერკავკასიაში აღმოჩენილი პიქტოგრამები იეროგლიფების პირველი ნიმუშებია.

ტექსტის მიხედვით მართებულია:

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ II

(გ) მხოლოდ I და II

(დ) მხოლოდ I და III

17. მოცემულ მოსაზრებათაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) უძველესი „მკვდარი“ ენების შესახებ დღემდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით მსჯელობენ.

(ბ) დღეს არსებული ანბანების უმრავლესობის საფუძვლად პირველი ფონემური დამწერლობა უნდა მივიჩნიოთ.

(გ) დამწერლობა, ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის დაფიქსირებას დროში.

(დ) ეგვიპტური და შუმერული დამწერლობა აღმოსავლური დამწერლობის საფუძველია, ფინიკიური კი – ევროპული დამწერლობის.

18. ქართული დამწერლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

I. საქართველოში აღმოჩენილი უძველესი პიქტოგრამული ნიმუშები მოწმობს იმას, რომ ქართული დამწერლობის ფესვები ამ ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ.

II. მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი, საქართველოში დამწერლობა ე. წ. აღმოსავლური გზით არის შემოსული, თუ დასავლური.

III. ქართული ანბანის საფუძვლად ფინიკიური დამწერლობა შეიძლება მივიჩნიოთ.

(ა) მხოლოდ I და II

(ბ) მხოლოდ I და III

(გ) მხოლოდ II და III

(დ) მხოლოდ II

19. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) შეჯამებულია ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები.

(ბ) ახლებურადაა ფორმულირებული ტექსტში დასმული საკითხი.

(გ) გავრცობილია წინა აბზაცში წარმოდგენილი საკითხი.
(დ) განხილულია წინა აბზაცში მოყვანილი მაგალითი.

20. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

(ა) ბერძნების მეშვეობით ფინიკიური დამწერლობა მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

(ა) ლურსმული დამწერლობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს იეროგლიფურ დამწერლობას.

(გ) კავკასიაში აღმოჩენილი პიქტოგრამული ნიშნების საშუალებით შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ენის ფონეტიკური ფორმების დადგენა.

(დ) ეგვიპტეში აღმოჩენილი იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ენის აღდგენა.

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

21. სეგმენტაცია : დანაწილება
სეკვესტრი:

ა) შეკვეცა
ბ) გაზრდა
გ) შეცვლა
დ) დაანგარიშება

23. სენტენცია : რჩევა, ჭკუის დარიგება
ფარსი:

ა) გამოხდომა, უხეში ხუმრობა
ბ) ფაქტი, მომხდარი ამბავი
გ) კაპრიზი, ახირება
დ) დანაპირების ასრულება

25. ქოლერიკი : მოუსვენარი,ზედაპირული
ფლეგმატიკი:

ა) დინჯი, მომთმენი
ბ) ჩქარი, ნერვიული
გ) სწრაფი, მიზანმიმართული
დ) ნელი, დათრგუნული

22. სეპარატიზმი : განცალკევება
ფემინიზმი:

ა) თანასწორობა
ბ) მიზანმიმართულობა
გ) თანხმობა
დ) იდილია

24. **კრედო : მრწამსი**
იშტა:

ა) ტკივილი
ბ) სურვილი
გ) ცოდნა
დ) შიში

26. სპორტი : ჩემპიონი
ხელოვნება:

ა) მსახიობი
ბ) კორიფე
გ) ოსკარი
დ) მხატვარი

წინადადებების შევსება

27. ზვიადობამ ფარაონებს დამსახურებული სასჯელი მოუტანა: უკეთ გადარჩა არა ის ვინც ქვის ციხე-სიმაგრეში იყო დაკრძალული, არამედ ის ვინც უბრალოდ ქვიშაში იყო დამარხული, რადგან სწორედ ისინი _____ მძარცველებს. პირამიდებს _____ ფარაონები, მაგრამ _____. ქვა _____, მაგრამ პირამიდის ზომა სავსებით გარკვევით ამბობდა, _____ .

ა) ვერ გადაურჩნენ / აგებდნენ / არა დასაცავად / ვერ დაიცავდა მათ /ფარაონები რჩეულები არიანო
ბ) გადაურჩნენ / უნდა დაეცვათ / ეს არ მოხდა / კი იცავდა / ჩვენ მართლაც რომ რაღაცას ვმალავთო
გ) გადაურჩნენ / ვერ უნდა დაეცვათ / მაინც იცავდნენ / მართლაც იცავდა / ჩვენ ყველაფერს დავიცავთო
დ) ვერ გადაურჩნენ / უნდა დაეცვათ / ეს სწორედ ასე მოხდა / კი ვერ იცავდა / ჩვენ ყველაფერს დავიცავთო

28. ყველა მათემატიკოსს რომ _____ ჰქონდეს, _____ სინამდვილის უშუალო შემეცნებას, ვინაიდან _____ ნაცნობ საწყისებზე დაყრდნობით, ხოლო ყველა ის ვისაც შემეცნების უნარი ------- ღმერთმა, მათემატიკური შემეცნების უნარსაც _____ , გულმოდგინედ რომ ცდილობდეს მისთვის უცხო მათემატიკურ საწყისთა არსში წვდომას.

ა) ნათელი გონება / შესძლებდნენ / ვერ მსჯელობენ / არ უბოძა / შეიძენდა

ბ) მახვილი მზერა / შესძლებდნენ / სწორად მსჯელობენ / უბოძა / შეიძენდა

გ) აზროვნების უნარი / შესძლებდნენ / სწორად მსჯელობენ / უბოძა / შეიძენდა

დ) მახვილი მზერა /მაინც ვერ შესძლებდნენ / სწორად ვერ მსჯელობენ / არ უბოძა / ვერ შეიძენდა

29. თუ რომაელთა მწერლობა, წარმოშობილი მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინათ, მეოთხე და მეხუთე საუკუნეში _____ და თუ მეორე საუკუნეში როდესაც საბერძნეთი რომის პროვინციად გადაიქცა, რომაელები _____ და ისე _____ რომ ყოველმა განათლებულმა რომაელმა _____ ყოველივე ეს მაინც ვერ შეიქმნა მიზეზი რომის მწერლობის _____ .

ა) ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა, / დაეწაფენ ბერძნულ კულტურას / შეითვისეს / შეისწავლა ბერძნული ენა / დამოუკიდებლობისა

ბ) სრულიად განსხვავდებოდა ბერძნულისგან / კიდევ უფრო დაშორდნენ ბერძნებს / განსხვავდებოდნენ მათგან / დაივიწყა ბერძნული ენა / ორიგინალურობისა

გ) თითქმის იმეორებდა ბერძნულს / გაემიჯნენ ბეძნულ კულტურას / შექმნეს თავიანთი კულტურა / იცოდა ბერძნული ენა / ორიგინალურობისა

დ) უფრო წაბაძვა იყო ბერძნულისა, / კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ბერძნებს / შეითვისეს მათი კულტურა, / იცოდა ბერძნული ენა, / მართლაც ბერძნულ ანარეკლად ქცევისა

30. რაკი _____ ყოვლისმომცველი ცოდნა, რაკი _____ იცოდე, ცოტა რამ მაინც უნდა იცოდე _____, რადგან სჯობს ცოტა რამ იცოდე ყველაფერზე, ვიდრე ყველაფერი იცოდე მხოლოდ _____ შესახებ.

ა) შეუძლებელია / შესაძლებელია არაფერზე ყველაფერი / არაფერზე / ერთი რამის

ბ) შესაძლებელია / შესაძლებელია ყველაფერზე არაფერი / არაფერზე / ბევრი რამის

გ) შეუძლებელია / შეუძლებელია ყველაფერზე ყველაფერი / ყველაფერზე / ერთი რამის

დ) შესაძლებელია / შეუძლებელია ყველაფერზე არაფერი / ყველაფერზე / უამრავი რამის

ლოგიკა

31. მოცემულია:

- ყველა რაგბისტი ფიზიკურად ძალიან ძლიერია
- ყველა ფიზიკურად ძლიერი ადამიანი გულკეთილია
- მხოლოდ ის გულკეთილი ადამიანები არიან გულჩვილები, რომლებიც არ არიან ფიზიკურად ძალიან ძლიერები

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

(ა) არც ერთი რაგბისტი არ არის გულჩვილი
(ბ) ყველა რაგბისტი გულჩვილია
(გ) ზოგიერთი ფიზიკურად ძალიან ძლიერი ადამიანი გულჩვილია
(დ) ვინც რაგბისტი არაა გულკეთილი არაა

32. წყაროსთან ოთხი ბავშვი დგას მერაბი, კოტე, ნოდარი და ბაჩო. ისინი ერთი, ორი, სამი და ოთხიწლისანი არიან (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). მათი ასაკის შესახებ სამი განსხვავებული ინფორმაცია გვაქვს:

1. კოტე 3 წლისაა, ბაჩო 2-ის
2. მერაბი 4 წლისაა, ბაჩო - 1-ის
3. ნოდარი 2 წლისაა, კოტე 1-ის

ვინ უნდა დალიოს წყალი პირველმა, თუ ცნობილია, რომ წყალი უმცროსისაა და მოცემული სამი წინადადებების მხოლოდ ერთი ნაწილია ჭეშმარიტი?

(ა) ნოდარმა
(ბ) ბაჩომ
(გ) მერაბმა
(დ) კოტემ

33. ადგილობრივ არჩევნებზე ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში ერთმანეთს მეტოქეობას უწევდა ორი - A და B პარტია. A პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის მთვარი დებულება იყო საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება, ხოლო B პარტიისა - კვალიფიციური მუშახელისათვის სამუშაო ადგილების შექმნა. გაიმარჯვა B პარტიამ. ანალიტიკოსებმა ეს იმით ახსნეს, რომ **A პარტიამ არასწორად შეარჩია წინასაარჩევნო პროგრამის მთავარი დებულება.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მატებს დამაჯერებლობას ანალიტიკოსთა მოსაზრებას?

(ა) არჩევნების დროს დაფიქსირდა მრავალი სერიოზული დარღვევა B პარტიის სასარგებლოდ
(ბ) არჩევნების დროს არ დაფიქსირებულა სერიოზული დარღვევები რომელიმე პარტიის სასარგებლოდ
(გ) ამ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედებს მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება
(დ) ამ საარჩევნო ოლქში არჩევნებზე მოსვლა შეძლო მხოლოდ მეოთხედმა იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც A პარტიას უჭერენ მხარს

34. განმარტება: ერთი წინადადება არის მეორე წინადადების უარყოფა (საწინააღმდეგო დებულება), თუკი ამ ორი წინადადებიდან ერთის ჭეშმარიტება ნიშნავს მეორის მცდარობას და პირიქით - ერთის მცდარობა მეორის ჭეშმარიტებას.

მაიკო და შორენა კამათობენ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებების სირთულეზე.

I. მასწავლებლის მიერ მიცემული ყველა დავალება რთულია.

II. მასწავლებლის მიერ მიცემული არც ერთი დავალება არ არის რთული

III. მასწავლებლის მიერ მიცემული ზოგიერთი დავალება არ არის რთული

მეორე და მესამე წინადადებებიდან რომელია პირველის უარყოფა?

(ა) ორივე

(ბ) მხოლოდ მეორე

(გ) მხოლოდ მესამე

(დ) არც ერთი

წაკითხული ტექსტის გააზრება

დაახლოებით 10-12 მილიონი წლის წინ ბოსფორის სრუტის წარმოქმნამ ერთმანეთისაგან გათიშა ევროპა და მცირე აზია. ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა გავრცელების არეალები, რომლებიც მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავდა, ორად გაიყო. გაწყდა კონტაქტი მცირე აზიასა და ევროპაში, კერძოდ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ პოპულაციებს შორის. რამდენად ძლიერი იყო ეს იზოლაცია, გასტანა თუ არა მან დღემდე? უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოსფორის სრუტის წარმოქმნამ სხვადასხვაგვარი ზეგავლენა იქონია სხვადასხვა პოპულაციაზე. მაგალითად, მცირე აზიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, კავკასიაში, მობინადრე ცხოველები, მგელი და დათვი, უმნიშვნელოდ განსხვავდება მათი „ევროპელი“ ნათესავებისაგან, რადგან ამ ცხოველებს ჰქონდათ გავრცელების მეორე გზაც ჩრდილო შავიზღვისპირეთის გავლით.

სხვა ვითარებაა მტკნარი წყლის ბინადრების, ამფიბიების შემთხვევაში. მაგალითად, განვიხილოთ ენდემური კავკასიური სალამანდრა. მისი გავრცელების არეალი, ბორჯომის ხეობიდან დაწყებული, მესხეთის, შავშეთისა და ლაზეთის ქედზე გადის. ეს ტენიანი ტყის ტიპური ცხოველია, რომელიც მთის წყაროებს არასოდეს სცილდება. ამ სახეობის მამრების კუდის ფუძეს ზევით აშვერილი რქისმაგვარი გამონაზარდი ამშვენებს. ასეთივე ნიშანი კიდევ ერთ სახეობას აქვს. ეს არის თურქული ლიკიის სალამანდრა. ამიტომ ბოლო დრომდე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ კავკასიური და ლიკიის სალამანდრები უახლოესი ნათესავები არიან. მეორე მხრივ, კავკასიური სალამანდრა სხვა ნიშან-თვისებებით ჰგავს ოქროსზოლიან სალამანდრას, რომელიც ჩრდილო ესპანეთსა და პორტუგალიაშია გავრცელებული, თუმცა ოქროსზოლიან სალამანდრას კუდზე რქისმაგვარი გამონაზარდი არა აქვს.

პოლონეთსა და სლოვაკეთში აღმოჩენილი პალეონტოლოგიური მასალის კვლევის შედეგად მტკიცდება, რომ 3-4 მილიონი წლის წინ ცენტრალურ ევროპაში კავკასიური სალამანდრას უფრო ახლო ნათესავები ცხოვრობდნენ, ვიდრე თურქული ლიკიის სალამანდრაა. ეს ვარაუდი სალამანდრების გენეტიკური მეთოდით შესწავლამაც დაადასტურა. აღმოჩნდა, რომ კავკასიური სალამანდრას უახლოესი ნათესავი სწორედ ესპანური ოქროსზოლიანი სალამანდრაა. როდის განცალკევდნენ კავკასიური და ოქროსზოლიანი სალამანდრების წინაპრები? ეს უნდა მომხდარიყო

ბოსფორის სრუტის წარმოქმნამდე. დიდი ხნის წინ ერთიანი სახეობის, წყაროს სალამანდრას გავრცელების არეალი რამდენიმე ნაწილად დაიყო. ერთი ნაწილი თანამედროვე ესპანეთისა და პორტუგალიის მთებში დარჩა, მეორე – ცენტრალური ევროპის მთებში, მესამე კი – მცირე აზიაში. ბოსფორის სრუტემ შეუძლებელი გახადა ევროპულ და მცირეაზიურ პოპულაციებს შორის კავშირის აღდგენა. კლიმატის ცვლილებამ და ტყეების გადაშენებამ შეამცირა წყაროს სალამანდრების გავრცელების არეალი. კერძოდ, კავკასიური სალამანდრას წინაპრები მხოლოდ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მთებში შემორჩნენ, ოქროსზოლიანი სალამანდრას წინაპრები კი – ატლანტის ოკეანის სანაპირო მთებში. გამყინვარების პერიოდში ცენტრალურ ევროპაში მობინადრე წყაროს სალამანდრები განადგურდნენ, ორი დარჩენილი სახეობა კი ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით დაშორებული აღმოჩნდა.

საინტერესოა მცირეაზიური ტრიტონის მაგალითიც. როდესაც გამრავლების პერიოდში მცირეაზიური ტრიტონი წყალში შედის, მას ზურგის გასწვრივ მაღალი სავარცხელი ეზრდება. გენეტიკური მეთოდით შესწავლამ აჩვენა, რომ მცირეაზიური ტრიტონის უახლოესი ნათესავია დიდი ზომის სავარცხლიანი ტრიტონი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ესპანეთიდან დასავლეთ ციმბირამდე. მცირეაზიური ტრიტონისა და სავარცხლიანი ტრიტონის წინაპრები 10-12 მილიონი წლის წინ განცალკევდნენ.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კიდევ ერთი სახეობა. ეს არის მთის წყაროებთან მობინადრე პატარა ბაყაყი, კავკასიური ჯვარულა. ამ სახეობის უახლოესი ნათესავი – ხალებიანი ჯვარულა – ჩრდილო ესპანეთში, პორტუგალიასა და საფრანგეთში ბინადრობს. ამ ორი სახეობის გავრცელება ძალიან ჰგავს კავკასიური სალამანდრას და ოქროსზოლიანი სალამანდრას გავრცელების ისტორიას. ჯვარულები არავის შეუსწავლია გენეტიკური მეთოდებით. სავარაუდოა, რომ კავკასიური და ხალებიანი ჯვარულების წინაპრების დაშორება იმავე მოვლენებმა განაპირობა, რამაც წყაროს სალამანდრების. კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი და კავკასიური ჯვარულა კავკასიის მთის ტყეების უძველესი რელიქტებია. თუმცა ცხოველთა და მცენარეთა უმრავლესობისათვის ბოსფორის ბარიერი არ ყოფილა ისეთი მკაცრი, როგორც ეს ამფიბიებისთვის აღმოჩნდა. ფრინველები და მწერები ადვილად გადალახავენ ბოსფორს. მცენარეების თესლი ასევე ადვილად გადაინაცვლებს, თუ, მაგალითად, ზღვაში ჩაცურებული მორის ზედაპირზე აღმოჩნდება.

35. რა არის ტექსტის ძირითადი მიზანი?

(ა) ევროპულ და მცირეაზიურ პოპულაციათა შორის საერთო და განმასხვავებელ ნიშანთა აღწერა.

(ბ) ბოსფორის სრუტით იზოლირებული პოპულაციების მიმოხილვა უძველესი რელიქტების მაგალითზე.

(გ) ენდემური კავკასიური ამფიბიების შედარება მათ „ევროპელ“ ნათესავებთან და მსგავსების მიზეზთა დადგენა.

(დ) ბოსფორის სრუტით იზოლირებული პოპულაციების კვლევაში გენეტიკური კვლევის მნიშვნელობის წარმოჩენა.

36. კითხვითი წინადადება I აბზაცს ორ ნაწილად ყოფს. რა მიმართებაა აბზაცის ამ ნაწილებს შორის?

(ა) პირველ ნაწილში საუბარია გეოლოგიურ მოვლენაზე, მეორე ნაწილში კი ეჭვქვეშ არის დაყენებული ამ მოვლენის შედეგები.

(ბ) პირველ ნაწილში აღნიშნულია პოპულაციების განცალკევების მიზეზი, მეორე ნაწილში კი განსაზღვრულია მათი გავრცელების არეალები.

(გ) პირველ ნაწილში წამოჭრილია სახეობათა გავრცელების პრობლემა, რომელიც მეორე ნაწილში არგუმენტირებულად არის უარყოფილი.

(დ) პირველ ნაწილში საუბარია გეოლოგიური მოვლენის შესახებ, მეორე ნაწილში კი – ამ მოვლენის ზეგავლენაზე.

37. ტექსტის მიხედვით, კავკასიური სალამანდრა

(ა) გარკვეული ნიშნებით ლიკიის სალამანდრას ჰგავს, თუმცა მისი უახლოესი ნათესავი ოქროსზოლიანი სალამანდრაა.

(ბ) ტენიანი ტყის ტიპური ბინადარია, რითაც ის განსხვავდება როგორც თურქეთში, ისე ევროპაში გავრცელებული სალამანდრისაგან.

(გ) გარეგნულად ლიკიის სალამანდრას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მას არ ენათესავება.

(დ) მთის წყაროებს არასოდეს სცილდება, ხრიოკ ადგილებში ბინადარი ლიკიის სალამანდრასგან განსხვავებით.

38. წყაროს სალამანდრების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) გენეტიკური ანალიზით არ დადასტურდა მათი ნათესაობა ატლანტის ოკეანის სანაპირო მთებში გავრცელებულ სახეობასთან.

(ბ) ისინი ენათესავებიან თურქული ლიკიის სალამანდრებს და არ ენათესავებიან კავკასიურ სალამანდრას.

(გ) კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ განაპირობა მცენარეული საფარის შემცირება და ამ სახეობის გაქრობა.

(დ) მათი გავრცელების არეალი რამდენიმე ნაწილად დაიყო და გაწყდა კონტაქტი მონათესავე სახეობებს შორის.

39. რა ფუნქცია აქვს ტექსტში დათვისა და მგლის, ფრინველებისა და მწერების მაგალითებს?

მაგალითები ნათელს ხდის, რომ:

I. ამფიბიებისაგან განსხვავებით, ზოგიერთმა პოპულაციამ შეძლო იზოლაციის დაძლევა და მონათესავე სახეობებთან კავშირის შენარჩუნება.

II. იზოლაციის გამო მცირეაზიური სახეობები მკვეთრად განსხვავდებიან მათი „ევროპელი“ ნათესავებისგან.

III. იზოლაციის დასაძლევად სხვადასხვა პოპულაციები გავრცელების სხვადასხვა გზებს იყენებენ.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ I და II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) სამივე

40. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ დასტურდება</u> ტექსტში?

(ა) კავკასიური სალამანდრა და მცირეაზიური ტრიტონი გენეტიკური მეთოდებით შესწავლილია, კავკასიური ჯვარულა კი – არა.

(ბ) კავკასიური სალამანდრასა და მცირეაზიური ტრიტონისაგან განსხვავებით, ჯვარულების წინაპრები ერთმანეთს არ დაშორებიან.

(გ) ბოსფორის სრუტის წარმოქმნის შედეგად მცირეაზიური ტრიტონის წინაპრები განცალკევდნენ მონათესავე სახეობისაგან.

(დ) კავკასიური სალამანდრა და კავკასიური ჯვარულა ბინადრობენ ტენიან ტყეში, წყაროების მახლობლად.

შავი სამუშაოსათვის

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
41	$\frac{1}{8}+\frac{1}{9}$	$\frac{1}{5}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
42	$2, 7, 15, 26, 40, \ldots$ რიცხვითი მიმდევრობის მე-7 წევრი	75	(ა) (ბ) (გ) (დ)
43	რიცხვი, რომლის $\frac{2}{9}$ ტოლია 18-ის	რიცხვი, რომლის 30% 24-ის ტოლია	(ა) (ბ) (გ) (დ)
44	b_n მიმდევრობის ყოველი წევრი წინა წევრზე 2-ით ნაკლებია		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$b_9 - b_4$	$b_{11} - b_9$	
45	ოქროს 10 ერთნაირი ბურთულა იწონის მეტს, ვიდრე ვერცხლის 9 ერთნაირი ბურთულა		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ოქროს 11 ასეთივე ბურთულის წონა	ვერცხლის 10 ასეთივე ბურთულას წონა	
46	სამკუთხედის ორი გვერდი შესაბამისად 5 და 7 სმ-ია. მესამე გვერდის სიგრძე მთელი რიცხვია. p ამ სამკუთხედის უმცირესი პერიმეტრია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	16	p	

ამოცანები

47. x -ის რამდენი პროცენტია $\frac{x}{50}+\frac{x}{25}$, თუ $x>0$?

ა) 6% ბ) 25% გ) 37% დ) 60% ე) 75%

48. სკოლაში იყო 900 მოსწავლე. გაზაფხულზე სკოლა მოსწავლეთა 10% დაამთავრა. შემოდგომაზე პირველკლასელთა ხარჯზე სკოლის მოსწავლეთა რიცხვი 10% -ით გაიზარდა. რამდენი მოსწავლეა ახლა სკოლაში?

ა) 900 ბ) 915 გ) 851 დ) 810 ე) 891

49. მოცემულია, რომ s არის ყველა მთელი რიცხვის ნამრავლი 100 დან 200-ის ჩათვლით, ხოლო t წარმოადგენს ყველა მთელი რიცხვის ნამრავლს 100 დან 201-ის ჩათვლით. რომელი პასუხი შეესაბამება $\frac{1}{s}+\frac{1}{t}$ გამოსახულებას?

ა) $\frac{(201)^2}{t}$ ბ) $\frac{(202)(201)}{t}$ გ) $\frac{201}{t}$ დ) $\frac{(202)(201)}{t^2}$ ე) $\frac{202}{t}$

50.



თუ მოცემულ ფიგურაზე კვადრატის ფართობი 81 -ის ტოლია, ხოლო თითოეული სამკუთხედის პერიმეტრი კი - 30, მაშინ რას უდრის მუქი ხაზით გარშემოწერილი ფიგურის პერიმეტრი?

ა) 36 ბ) 72 გ) 80 დ) 84 ე) 120

51. მოცემულია x არის მთელ დადებით რიცხვთა ნამრავლი 1 დან 8-ის ჩათვლით, ხოლო i, k, m და p დადებითი მთელი რიცხვებია ისეთი, რომ სრულდება პირობა $x = 2^i 3^k 5^m 7^p$. გამოთვალეთ $i+k+m+p$.

ა) 4 ბ) 7 გ) 8 დ) 11 ე) 12

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში მოცემულია კვირის განმავლობაში ივანესა და გიორგის სამუშაო გრაფიკი. (საათების მიხედვით). ასევე ცნობილია, რომ ივანეს საათური ანაზღაურება შეადგენს 8 ლარს, ხოლო გიორგის კი 11 ლარს.

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
ივანე	8	8	7	$6\frac{1}{2}$	8	4	3
გიორგი	$6\frac{1}{2}$	6	$5\frac{1}{2}$	6	7	8	3

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ შემდეგ 2 კითხვას:

52. თუ დასვენების დღეებში ივანეს ხელფასი შეადგენს დამატებით 1,5 ლარს საათში, მაშინ რა თანხას მიიღებს ის დასვენების დღეებში შესრულებული სამუშაოსათვის?

ა) 49 ბ) 52 გ) 56,5 დ) 99 ე) 66,5

53. რამდენი ლარით მეტი ხელფასი აიღო გიორგიმ ივანესთან შედარებით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით?

ა) 41 ბ) 14 გ) 15.5 დ) 52 ე) 45

ამოცანები

54. ნიკა ღებავს ოთახს 30 წუთში, ხოლო ლევანი კი 1 სთ-ში. რამდენი წუთი დასჭირდება ოთახის შეღებვას, თუ ისინი ერთდროულად იმუშავებენ?

ა) 10 ბ) 15 გ) 18 დ) 20 ე) 24

55. ერთ-ერთ ჯგუფში მოსწავლეთა 75%-მა სწორად უპასუხა ტესტის პირველ შეკითხვას, ხოლო 55%-მა კი - მხოლოდ მეორე შეკითხვას. მოსწავლეთა 20% -მა ვერც ერთ შეკითხვას სწორი პასუხი ვერ გასცა. ჯგუფის მოსწავლეთა რამდენ პროცენტს გაუცია სწორი პასუხი ორივე შეკითხვაზე?

ა) 10% ბ) 20% გ) 30% დ) 50% ე) 65%

56.



სურათზე SBT რკალი წარმოადგენს იმ წრეწირის მეოთხედს, რომლის ცენტრია R წერტილში და რადიუსია - 6. თუ $ABCR$ მართკუთხედის სიგრძისა და სიგანის ჯამი 8 სმ-ია, რომელი გამოსახულება შეიძლება იყოს გამუქებული ნაწილის პერიმეტრი?

ა) $18+3\pi$ ბ) $10+3\pi$ გ) $14+3\pi$ დ) $1+6\pi$ ე) $12+6\pi$

57. ალექსანდრამ მაგიდაში გადაიხადა 56,65$ დღგ-ს ჩათვლით. დღგ შეადგენდა მაგიდის ღირებულების 3%. რა თანხა შეადგენდა დღგ-ს ამ შემთხვევაში?

ა) 2,25 ბ) 3 გ) 2,15 დ) 1,56 ე) 1,65

58. x, y და z რიცხვების შესახებ ცნობილია, რომ ისინი მთელი დადებითი რიცხვებია და მოცემულია შემდეგი ორი პირობა:

I. $x = z^2$
II. $y = (z-1)^2$

იმის დასადგენად, არის თუ არა $x - y$ კენტი რიცხვი:

ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი.
დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
ე) ეს ორი პირობა არ არის საკმარისი. საჭიროა დამატებითი პირობები.

59. ორი ქალაქიდან, რომელთა შორის მანძილია 515 კმ, დილის 9:30 ზე ორი ავტობუსი გამოვიდა ერთმანეთის შესახვედრად. ისინი მოძრაობდნენ შესაბამისად 48კმ/სთ და 55 კმ/სთ სიჩქარეებით. რომელ საათზე ჩაუვლიან (შეხვდებიან) ისინი ერთმანეთს?

ა) 1:30 ბ) 2:00 გ) 2:30 დ) 3:00 ე) 3:30

60. მოცემულია $PQRS$ მართკუთხედი, x-ის საშუალებით გამოთვალეთ $a + b$.



ა) $360^\circ - x$ ბ) $270^\circ - x$ გ) $180^\circ + x$ დ) $90^\circ - x$ ე) $90^\circ + x$

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
61	ყოველი $x \neq y$ თვის, $x \Phi y = \frac{x+y}{x-y}$, $p > 0 > q$		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$p \Phi q$	$q \Phi p$	
62			(ა) (ბ) (გ) (დ)
	$a+c+e$	$b+d+f$	
63	t და k დადებითი მთელი რიცხვებია სადაც $t > k$, $t^2 - k^2 < 6$, $t + k > 4$		(ა) (ბ) (გ) (დ)
	t	5	
64			(ა) (ბ) (გ) (დ)
	შვიდკუთხა პირამიდის წიბოებისა და წახნაგების რაოდენობათა ჯამი	12-კუთხა პირამიდის წიბოების რაოდენობა	
65			(ა) (ბ) (გ) (დ)
	1,7 ჰა	170000 დმ^2	
66	ΔABC მდებრეობს საკოორდინატო სიბრტყეზე, სადაც $C(0,0)$, $B(6,0)$ და $A(x,y)$, სადაც x და y დადებითი რიცხვებია. სამკუთხედის ფართობია 18.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	y	6	

ამოცანები

67. მოცემულია $\frac{x^2+x-6}{x^2-8x+12} = 4$, იპოვეთ x.

ა) 6 ბ) -2 გ) 2 დ) 3 ე) 9

68. ლატარიის ბილეთები გადანომრილია 101 დან 350 -ჩათვლით და მოთავსებულია ყუთში. რას უდრის ალბათობა იმისა რომ შემთხვევით ამოღებული ბილეთის ასეულების ციფრია 2?

ა) $\frac{2}{5}$ ბ) $\frac{2}{7}$ გ) $\frac{33}{83}$ დ) $\frac{99}{250}$ ე) $\frac{100}{249}$

69. აუზს მიერთებული აქვს ორი მილი. ერთით წყალი ჩაედინება, ხოლო მეორეთი კი გამოედინება. ჩამავალი მილით 4 წუთში აუზში ჩადის 60 ლიტრი წყალი. გამომავალი მილით 6 წუთში აუზიდან გამოედინება 80 ლიტრი წყალი. აუზში არის 100 ლიტრი წყალი და გახსნეს ორივე მილი. რამდენი ლიტრი წყალი იქნება ამ აუზში 12 წუთის შემდეგ?

ა) 140 ბ) 120 გ) 150 დ) 180 ე) 160

70. მოცემულია $n,\ n+1,\ n+2,\ n+4$ და $n+8$ მთელი დადებითი რიცხვებია. რამდენით მეტია ამ რიცხვების არითმეტიკული საშუალო მათსავე მედიანაზე?

ა) $n+3$ ბ) 0 გ) $n+1$ დ) $n+2$ ე) 1

მონაცემთა ანალიზი

წრიულ დიაგრამაზე მოცემულია 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართა საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტი იყო საქართველოდან და რამდენი - ევროკავშირიდან, უკრაინიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ცხრილში კი მოცემულია, 2005 და 2006 წლებში საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართაგან რამდენი ათასი იყო საქართველოდან და უკრაინიდან, და რა იყო მათი სასტუმროში გაჩერების მიზეზი (დასვენება, საქმიანი კონტაქტების დამყარება თუ სხვ.)



	დასვენება		საქმიანი კონტაქტები		სხვა მიზეზი	
	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა
2005 წელი	26	3,6	31	10	32	1,4
2006 წელი	36	5,8	48	16	42	6,2

დიაგრამისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

71. რამდენჯერ ნაკლები იყო 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ უკრაინიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობა ევროკავშირიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობაზე?

ა) 1,2 -ჯერ ბ) 1,4 ჯერ გ) 1,5 ჯერ დ) 1,6 ჯერ ე) 1,8 ჯერ

72. რამდენი ათასი საქართველოს მოქალაქეა დარეგისტრირებული საქართველოს სასტუმროებში 2005 წელს?

ა) 51 ბ) 63 გ) 82 დ) 89 ე) 92

73. რამდენი პროცენტით მეტი იყო 2006 წელს უკრაინიდან საქმიანი კონტაქტების დამყარების მიზნით ჩამოსულ და სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართა რაოდენობა 2005 წელთან შედარებით?

ა) 10% - ით ბ) 25%-ით გ) 40%-ით დ) 60 %-ით ე) 75% -ით

74. ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენი ათასი სტუმარი დარეგისტრირებულა საქართველოს სასტუმროებში 2006 წელს?

ა) 24 ბ) 27 გ) 30 დ) 36 ე) 42

ამოცანები

75. ნიკას ჰქონდა 400 ლარი. მას წვეულებისათვის უნდა ეყიდა 100 ცალი შოკოლადის შეკვრა, თითოეული - 4 ლარად. სუპერმარკეტში სალაროსთან მან გაიგო, რომ ყოველ ექვს შეძენილ შოკოლადზე ერთს უფასოდ უმატებდნენ. რამდენი ლარი დარჩებოდა ნიკას, თუ სხვას არაფერს იყიდდა?

ა) 33 ლარი ბ) 28 ლარი გ) 38 ლარი დ) 44 ლარი ე) 56 ლარი

76. თუ $x^2 = 16$ და $y^2 = 4$, მაშინ რას უდრის $(x-y)^2$-ის უდიდესი მნიშვნელობა?

ა) 64 ბ) 40 გ) 4 დ) 36 ე) 144

77. პირველ სტრიქონში მოცემული რიცხვების მედიანა ტოლია მეორე სტრიქონში მოცემული რიცხვების მედიანის. რას უდრის x?

$$I: \quad 3,\ 6,\ 8,\ 19$$
$$II: \quad x,\ 3,\ 6,\ 8,\ 19$$

ა) 6 ბ) 7 გ) 8 დ) 9 ე)10

78. მაღაზია ყიდის რუკებს და წიგნებს. ორშაბათს მაღაზიამ გაყიდა 12 რუკა და 10 წიგნი, სულ 38 ლარის ღირებულების. სამშაბათს კი 20 რუკა და 15 წიგნი, სულ 60 ლარის ღირებულების. რამდენი ლარით ნაკლები ღირს მაღაზიაში რუქა ვიდრე წიგნი, თუ რუკების ფასი ერთნაირია და წიგნების ფასიც ერთნაირია?

ა) 0,25 ბ) 0,5 გ) 0,75 დ) 1 ე) 1.25

79. მაცივრის საყინულის სიგრძეა 80 სმ, სიგანე - 40 სმ, სიმაღლე კი 50 სმ. რამდენი ასეთი კუბის ფორმის ნატეხი ჩაეტევა საყინულეში, რომლის წიბოს სიგრძეა 20 სმ?

ა) 10 ბ) 20 გ) 8 დ) 12 ე) 16

80. სახლიდან აუზამდე მიმავალ გზაზე 25 ხეა დარგული. საბანაოდ მიმავალმა გიამ ზოგიერთი ხე წითელი ზონრით მონიშნა შემდეგნაირად: ჯერ მონიშნა პირველი ხე, შემდეგ კი - ყოველი მეორე. როცა აუზიდან ბრუნდებოდა, მან ჯერ მონიშნა პირველი ხე, შემდეგ კი - ყოველი მესამე. რამდენი ხე არ იქნება მონიშნული წითელი ზონრით?

ა) 6 ბ) 7 გ) 8 დ) 9 ე) 2

ზოგადი უნარების ტესტის პასუხების ფურცელი

სწორი პასუხი აღინიშნება ☒

შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად ■

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები						წინადადებები			ლოგიკა				ტექსტი							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
		X		X										X						ა
X			X					X				X								ბ
	X					X			X	X	X				X		X	X		გ
					X		X						X			X			X	დ

ანალოგიები						წინადადებები				ლოგიკა				ტექსტი						
21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	
X	X	X		X						X						X				ა
			X		X	X	X					X		X					X	ბ
									X				X					X		გ
								X			X				X		X			დ

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შედარება						ამოცანები					მონაცემთა ანალიზი		ამოცანები							
41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	
X	X	X			X	X						X								ა
			X												X					ბ
																	X	X		გ
				X					X	X			X	X						დ
							X	X			X					X			X	ე

რაოდენობრივი შედარება						ამოცანები				მონაცემთა ანალიზი				ამოცანები						
61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	
				X			X													ა
			X					X								X	X			ბ
	X				X					X									X	გ
X		X									X	X			X					დ
						X			X				X	X				X		ე

გავეცანი პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ დავიწყო მუშაობა